



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 180

20/96. "12" 09

ქ.თბილისი

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო
საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27² მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3¹ პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

თავმჯდომარე

მდივანი

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 01 და 02 აპრილს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 15 აპრილის №268 ბრძანების საფუძველზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 27 ივნისის №534 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 05 ივლისს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ხოლო 2019 წლის 16 აგვისტოს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | ✓ | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | ✓ | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | ✓ | | |

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

თავმჯდომარე

მდივანი

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2019 წლის 12 სექტემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასებები.

ზეპირი განხილვის დროს ექსპერტთა მიერ ვერ დასაბუთდა მათ მიერ დასკვნაში მითითებული პრეტენზიები, რომლებიც ეხებოდა პირველი და მეხუთი სტანდარტის მეტწილად, ხოლო მეორე სტანდარტის ნაწილობრივ შესაბამისობას.

I სტანდარტი:

ა) დასკვნაში მითითებულია „პანელი ასკვნის, რომ ზოგადად სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ინტერესთა სფეროს სპეციფიურ მიზნებთან და დუბლინის დისკრიპტორთან“; „სწავლის შედეგები აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და შეესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის დონეს ბიზნესის ადმინისტრირებაში“; „პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ფოკუსირებულია პროგრამის შინაარსით განსაზღვრულ ყოვლისმომცველ ცოდნაზე, უნარებზე და/ან პასუხისმგებლობასა და დამოუკიდებლობა/ავტონომიურობაზე.“; აღნიშნულის მიუხედავად, ექსპერტები იქვე განმარტავენ, „ძნელია იმის დადგენა, შეესაბამება თუ არა ისინი კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოთი (NQF) განსაზღვრულ შესაბამის საგანმანათლებლო დონეს და დუბლინის დისკრიპტორით მისანიჭებელ კვალიფიკაციას“. ექსპერტთა საბჭოს მიერ ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები საბჭომ არ გაიზიარა.

ბ) დასკვნაში მითითებულია, რომ „რაც შეეხება მოწოდებულ დოკუმენტებს და თვითშეფასების დასკვნაში მითითებულ ინფორმაციას, უცნობია არსებობს თუ არა რაიმე სპეციალური სისტემა სწავლის შედეგების შესაფასებლად, რომელიც პირდაპირ და არაპირდაპირ შეაფასებს პროგრამის სწავლის შედეგებს, გარდა ზოგადი ხარისხის უზრუნველყოფისა“; „პანელმა ვერ შეძლო სწავლების შედეგების შეფასების რაიმე მექანიზმის პოვნა. უცნობია, იქნება თუ არა პროგრამის სწავლის შედეგები რეგულარულად და გამჭვირვალედ შეფასებული.“

აღნიშნულის საპირისპიროდ დაწესებულებამ საბჭოს მიუთითა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სახელმძღვანელო „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ და „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში“. ამ უკანასკნელში აღნიშნულია, რომ თითოეული პროგრამის ფარგლებში, პროგრამის ხელმძღვანელი, გარკვეული პერიოდულობით აკეთებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშს, რომელშიც დეტალურადაა გათვალისწინებული: რომელ სწავლის შედეგებს აფასებს ბიზნესის ფაკულტეტი და პროგრამის ხელმძღვანელი ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის; ამ შედეგების შესაბამისი სამიზნე ნიშნულები; შეგროვებულ მონაცემთა ანალიზი; გამოყენებული შეფასების მეთოდები; შეფასების მეთოდების ეფექტურობა; შეფასების მონაცემთა მიხედვით შეთავაზებული ცვლილებები და შეფასების მეთოდების გადახედვა. შესაბამისად, საბჭომ ვერ გაიზიარა ექსპერტთა მიერ მითითებული რეკომენდაცია.

გ) დასკვნაში მითითებულია, რომ „პანელმა ვერ შეძლო რაიმე კონკრეტული ინფორმაციის მოპოვება პროგრამის პერსონალის პროფესიული განვითარების შესახებ, სტუდენტთა სწავლის შედეგების დადგენაში, გაზომვასა და ანალიზში. ასევე უცნობია, იღებენ თუ არა სტუდენტები რაიმე ფიდბექს, რომ იცოდნენ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს, რადგან სასარგებლო იქნებოდა იმის ცოდნა, თუ რა ზომები მიიღება ამ მხრივ რაიმე ხარვეზის არსებობის შემთხვევაში“.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, დაწესებულებამ მიუთითა შემდეგზე: სტუდენტის სწავლის შედეგს თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში, გაუსის მეთოდით აფასებს როგორც სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესორი, ასევე პროგრამის ხელმძღვანელი და ბოლოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგი, შემადგენელი ნაწილია პროგრამის სწავლის შედეგებისა. ყველა სემესტრის ბოლოს თითოეულმა სტუდენტმა იცის კონკრეტულ საგანში მიღწეული შედეგის შესახებ, სასწავლო პროცესის თავმჯდომარე

მდივანი

მართვის სისტემის, „გონის“ მეშვეობით. რაც შეეხება ინფორმაციას, პროგრამის განხორციელების კონკრეტულ ეტაპზე, პროგრამის სწავლის შედეგებთან მისი სწავლის შედეგების შესაბამისობის შესახებ, სტუდენტს აწვდის პროგრამის ხელმძღვანელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაცია და მითითებული რეკომენდაცია მეტწილად შესაბამისობიდან აწეული იქნა სრულად შესაბამისობამდე.

II. სტანდარტი:

ექსპერტებმა მიუთითეს, რომ მე-2 სტანდარტი ნაწილობრივ იყო შესაბამისი შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) დასკვნაში მითითებულია, რომ „სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს მოეთხოვება „სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე, სადაც წერია განმცხადებლის კვლევითი ინტერესების შესახებ“. საბჭოს მიერ მსგავსი ჩანაწერი პროგრამაში ვერ იქნა მოძიებული.

ბ) დასკვნაში იკითხება, რომ „ვიზიტის დროს ასევე არ იყო ნათელი, მაგისტრის ხარისხი executive MBA თუ ხელოვნების მაგისტრი, რომელიც სამეცნიერო კვლევაზე თითქმის არ ამახვილებს ყურადღებას, თუ აპლიკანტს უნდა ჰქონდეს მეცნიერებების მაგისტრის ხარისხი შესაბამის სფეროში ან დისციპლინაში? მართალია, საქართველოში მხოლოდ ერთი ტიპის MA არის აღიარებული, მაგრამ უმჯობესია ამის გარკვევა“. საბჭოს მიერ ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაისვა შეკითხვა, რადგან რეკომენდაციის შინაარსი ბუნდოვანია. ამასთან, დასკვნაში არსებობს ურთიერთგამომრიცხავი მითითება. კერძოდ, ექსპერტები უთითებენ, რომ პროგრამის დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას. პროგრამის დაშვების წინაპირობები და პროცედურები არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი“.

დაშვების წინაპირობებთან მიმართებით, დაწესებულებამ განმარტა, რომ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ნებისმიერი მიმართულებით სრული სამაგისტრო განათლების (და არა მოკლევადიანის) დამადასტურებელი დიპლომი. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი გადის გასაუბრებას და ფასდება სპეციალური კრიტერიუმებით. პროგრამაზე ჩარიცხება მხოლოდ ის სტუდენტი, ვინც დაადასტურებს სადოქტორო პროგრამისთვის აუცილებელ შესაბამის სამაგისტრო ცოდნასა და უნარებს.

დაწესებულების ამგვარი დასაბუთება საბჭომ მიიჩნია საკმარისად და არ გაიზიარა ექსპერტთა ორაზროვანი რეკომენდაცია დაშვების წინაპირობებთან მიმართებით.

გ) ექსპერტთა მითითებით, „განმცხადებელს ასევე უნდა მოეთხოვოს წარმოადგინოს სარეკომენდაციო წერილი, ერთი რეკომენდატორი უნდა იყოს აკადემიური წრეებიდან, ხოლო მეორე - პროფესიული გამოცდილების მქონე (დოქტორანტის სამუშაო გამოცდილების შემთხვევაში), კომპანიიდან ან ორგანიზაციიდან, რომელშიც დოქტორანტი მუშაობს“.

საბჭო არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას, ვინაიდან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებში“ გარკვევით წერია, რომ პროგრამაზე სწავლის მსურველს მოეთხოვება 2 სარეკომენდაციო წერილის წარდგენა, ერთი აკადემიური წრეებიდან, ხოლო მეორე დამსაქმებელი კომპანიიდან ან ორგანიზაციიდან. ანალოგიური ჩანაწერი არსებობს პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის 2.1 ქვესტანდარტის აღწერილობით ნაწილშიც.

დ) ექსპერტთა მითითებით, „არ ხდება წინასწარი დაგეგმილი შეფასება, რომ განისაზღვროს სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდების ცოდნა, განსაკუთრებით თვისებრივი ან/და მონაცემთა ანალიზის რაოდენობრივი“.

საბჭოს მიერ დადგინდა, რომ დოქტორანტი პირველ სემესტრში სწავლობს სავალდებულო სასწავლო კურსს „ბიზნესის კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები“.

თავმჯდომარე

მდივანი

ე) ექსპერტთა მითითებით, „ამასთან, გაურკვეველია, ყველა სტუდენტს, რომელიც წარადგენს საჭირო/მოთხოვნილ დოკუმენტებს სადოქტორო სკოლაში, ეგზავნებათ თუ არა ელექტრონული ფოსტით პაკეტი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საკონკურსო პროცედურების შესახებ. გარდა ამისა, გაუგებარია როგორ ეცნობა სტუდენტი მიღების/დაშვების შესახებ საბოლოო დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, წერილობით, ელექტრონული ფოსტით, და ა.შ.“.

საბჭოს მიერ დადგინდა, შემდეგი: ა) დაწესებულებაში ფუნქციონირებს მაგისტრანტთა და დოქტორანტთა სამსახური, როგორც ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უშუალოდ მათთან დროულ ურთიერთობასა და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას უწყევს მონიტორინგს; ბ) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში; გ) ინფორმაცია სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთათვის ვებ-გვერდზე განთავსდება კონკურსამდე დაახლოებით ორი თვით ადრე; დ) სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის დოქტორანტურის კოორდინატორი თითოეულ კონკურსანტს პირადად, ელექტრონული ფოსტით უგზავნის ამონარიდს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებიდან; ე) სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხულთა სახელობითი სია განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, კონკურსის დამთავრების შემდეგ შემჭიდროვებულ ვადაში.

ვ) ექსპერტთა მითითებით, „პანელმა ვერ დაინახა, შეფასებულია თუ არა თითოეული კურსის სწავლის შედეგი შერჩეული შეფასების მეთოდებით. მოცემულია მხოლოდ გარკვეული აღწერა, მაგრამ კონკრეტული ან მოკლე ინფორმაცია არ არის მოცემული ამ ასპექტის შესაფასებლად“.

საბჭომ დაადგინა, რომ უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ორი ცხრილია: შეფასების კომპონენტები და შეფასების სისტემა, რომელშიც დაწვრილებითაა ჩაშლილი თუ როგორ ნაწილდება შეფასებები აღნიშნულ კომპონენტებზე.

საბჭომ დაადგინა, რომ თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, კურსის განმახორციელებელი პროფესორის მიერ, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, სადოქტორო პროგრამისთვის შერჩეული შეფასების მეთოდებითა და კრიტერიუმებით ფასდება, მისი აკადემიური თავისუფლების ფარგლებში.

ზ) ექსპერტთა მითითებით, „ექსპერტთა პანელს გაუჭირდა ეპოვნა პროგრამის სწავლის შედეგების კურსებთან შესაბამისობის რუქის აუცილებელი დეტალები, ვერტიკალური და ჰორიზონტალური თანმიმდევრობა; კურსებს შორის კავშირი და ა.შ.“.

საბჭომ დაადგინა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამას დანართების სახით ახლავს შემდეგი ცხრილები: დანართი 1. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა; დანართი 2. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუქა; დანართი 3. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუქა; დანართი 4. ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო და კვლევითი კომპონენტებთან შესაბამისობის რუქა; დანართი 5. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი. სადოქტორო პროგრამის დანართში #1 (სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა), სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არჩევით ელემენტებს, ასევე კვლევითი კომპონენტის ყველა ელემენტს მითითებული აქვს წინაპირობა, რაც სწორედაც რომ კურსებს შორის კავშირს ადასტურებს.

თ) 2.4. ქვესტანდარტთან მიმართებით, დასკვნაში მითითებულია, რომ: „პროფესორის ასისტენტობის“ კომპონენტის უნარები გახდეს განვითარებაზე ორიენტირებული და ღირებული დოქტორანტებისათვის; საგანი "მეცნიერების მართვა" გახდეს უფრო მეტად ორიენტირებული პრაქტიკაზე.

საბჭომ დაადგინა, რომ „პროფესორის ასისტენტობის“ კომპონენტი დოქტორანტების მიერ მხოლოდ ლექციებისა და სემინარების ჩატარებას არ გულისხმობს. სილაბუსის შესაბამისად, „პროფესორის ასისტენტობა“ გულისხმობს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების საბაკალავრო

თავმჯდომარე

მდივანი

საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის, სამეცნიერო ხელმძღვანელის, უნივერსიტეტის სხვა პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის ხელმძღვანელობით, მეცადინეობების - ლექციების, სემინარების, პრაქტიკუმების ჩატარებას, შუალედური და დასკვნითი გამოცდის საკითხების და ტესტების მომზადებას, სტუდენტთა ნაშრომების გასწორებას, საბაკალავრო ნაშრომების რეცენზირებას და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობას.

პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო საგნად სწავლების თანამედროვე მეთოდებს, რომელიც „პროფესორის ასისტენტობის“ წინაპირობაა.

„სწავლების თანამედროვე მეთოდები“ს მიზნებია: დოქტორანტს:

- ა) მისცეს თეორიული ცოდნა ზრდასრულთა განათლებაში სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ და ასწავლოს მათი პრაქტიკული გამოყენების მეთოდები;
- ბ) შესძინოს საფუძვლიანი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სწავლების თანამედროვე მეთოდების ძირითად ასპექტებზე და მათ მიზნებზე. შესაბამისად გაულრმავოს ცოდნა მათ პრაქტიკულ გამოყენებაზე;
- გ) გააცნოს, ზრდასრულთა განათლების თავისებურებები და სწავლისა და სწავლების სხვადასხვა სტილები, მათი გამოყენების ვარიანტები და შედეგები;
- დ) შეასწავლოს სტუდენტზე და შედეგზე ორიენტირებული სწავლების წინაპირობები, ამოცანები, წამყვანი პრინციპები, სწავლების თანამედროვე სტრატეგიები;
- ე) გამოუმუშავოს სწავლების დამოუკიდებლად წარმართვის საჭირო უნარი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში მითითებულია:

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს უძლია:

- ა) სწავლების სხვადასხვა მეთოდის უპირატესობების ანალიზი და მათი სალექციო პროცესში გამოყენება;
- ბ) სწავლების სხვადასხვა მეთოდის სინთეზის გზით ცოდნის ადეკვატურად გადაცემა;
- გ) სწავლების ინტერაქტიული მეთოდების პრაქტიკულ საქმიანობაში წარმატებით გამოყენება;
- დ) ახლებური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება;
- ე) სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მთავარი პრინციპებისა და კომპონენტების სასწავლო პროცესში დანერგვა;
- ვ) სწავლების თანამედროვე სტრატეგიების პრაქტიკულად განხორციელება;
- ზ) სასწავლო აქტივობების ეფექტურად დაგეგმვა/განხორციელება;
- თ) სალექციო ღონისძიების ფარგლებში წამოჭრილ პრობლემებზე ადეკვატური რეაგირება.

საბჭო დარწმუნდა, რომ 13 სალექციო თემიდან 8 სწორედ პრაქტიკული უნარების გამომუშავებას უწყობს ხელს.

კურსი „მეცნიერების მენეჯმენტი“: მისი მიზანია სტუდენტს შესძინოს და განუვითაროს უნარები, რომელიც მკვლევარს გაუადვილებს სამეცნიერო კვლევასთან და ნაშრომის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასწავლის დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებასთან დაკავშირებით საჭირო რესურსების მოზიდვის გზებს, კვლევის შუალედური და საბოლოო სამეცნიერო შედეგების პროდუქტად ქცევას, სწორად წარმოჩენას და პროფესიულ სამეცნიერო წრეებთან გაზიარებას, სამეცნიერო ფონდების მოძიებას, შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით კვლევითი პროექტის მომზადებას, განხორციელებას და ანგარიშგებას, ასევე მკვლევარის, როგორც მენეჯერის პრეზენტაბელურობას, ტრანსფერული და სხვა საჭირო უნარების გაუმჯობესებას. საჯარო პრეზენტაციას თუ სამეცნიერო დისკუსიაში მონაწილეობას. წარმოდგენილი სასწავლო კურსი დაეხმარება დოქტორანტს გახდეს მაღალკვალიფიციური მკვლევარი; გაუფართოვებს მას ხედვას საკუთარ პროფესიასა და მომიჯნავე დარგებში, შესძენს სამეცნიერო ჯგუფის ლიდერისათვის საჭირო ჩვევებს;

კურსმა მსმენელს უნდა განუვითაროს სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან კომუნიკაციისა და საკუთარი კვლევის შედეგების წარმოჩენის უნარი. დოქტორანტს საშუალება მიეცემა გაეცნოს სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ხელშემწყობი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის პრინციპს, მაღალრეიტინგული სამეცნიერო ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების

თავმჯდომარე

მდივანი



მოთხოვნებს. კურსის განმავლობაში დოქტორანტი აითვისებს საგრანტო პროექტების, სამეცნიერო პუბლიკაციების შედგენის საკვანძო მომენტებს. სტუდენტები ინტენსიურად ამზადებენ საშინაო დავალებას და აკეთებენ მის პრეზენტაციას.

ი) 2.5. ქვესტანდარტის შესახებ დასკვნაში აღნიშნულია, რომ „ზოგიერთ შემთხვევაში ვერ ხდება სილაბუსით განსაზღვრული სწავლების სპეციფიური მეთოდის/მეთოდების ეფექტურობის დადგენა სილაბუსში მითითებული შეფასების მეთოდებითა და კრიტერიუმებით. უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში, სწავლების მეთოდები არ აძლევს სტუდენტს სილაბუსებში მითითებული მიზნების მიღწევის საშუალებას“.

საბჭო დარწმუნდა, რომ სილაბუსებში არის ასეთი ჩანაწერი: სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებია: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. ამის შემდეგ ჩამოთვლილია კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები, რომლებიც არ არის ყველა სასწავლო კურსისთვის ერთნაირი და შერჩეულია მისი სპეციფიკის გათვალისწინებით. თუმცა, როგორც ექსპერტები წერენ, თუ კი თითოეული სასწავლო კურსის შედეგი მიღწეულია, ცხადია, ეს შეუძლებელია სწორად შერჩეული სწავლა-სწავლების მეთოდების გარეშე. რაც შეეხება ჩანაწერს, რომ „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ ზომავს ტრენინგის ეფექტიანობას და ცდილობენ თუ არა ლექტორები ახალი მეთოდების დანერგვას“ არ იქნა გაზიარებული, რადგან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სემესტრის დაწყებამდე, დავალებას აძლევს ყველა პროფესორს, განაახლონ სილაბუსი, სწავლა-სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სავალდებულო ლიტერატურა და ა.შ. სწავლა-სწავლების ახალი მეთოდია სწორედ „შეზრუნებული საკლასო ოთახის მეთოდი“, რომელიც მხოლოდ სადოქტორო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებშია გათვალისწინებული.

წარმოდგენილი არგუმენტაციის გათვალისწინებით, საბჭო დარწმუნდა, რომ დაწესებულების მიერ სრულად და ჯეროვნად არის გათვალისწინებული სტანდარტით დაკისრებული ვალდებულებები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ზეპირი მოსმენაზე ვერ იქნა გაქარწყლებული დაწესებულების არგუმენტაცია მათ მიერ წარდგენილი რეკომენდაციათა უსწორობის შესახებ. აქედან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია, რომ მე-2 სტანდარტი აწეული უნდა იქნე სრულ შესაბამისობამდე.

V სტანდარტი

ა) დასკვნაში აღნიშნულია, რომ „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს და აფასებს სემესტრის ბოლოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის საქმიანობას და პროდუქტიულობას, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში აკლია მიმდინარე კონტროლის მექანიზმები. ასევე, მცირე ყურადღება ექცევა პროგრამაში ჩართულ ადმინისტრაციულ პერსონალს.“

საბჭომ ზეპირი მოსმენის პროცესში გამოიკვლია, რომ წარმოდგენილი იქნა მთელი რიგი დოკუმენტაცია: დანართი #18-ში, დანართი #19-სა და დანართი #21-ში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარმოდგენილი აქვს კონტროლის შემდეგი ფორმები და მექანიზმები: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის შეფასება; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება; პროგრამის ხელმძღვანელის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება; აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამის შეფასება; დეკანის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება; დეკანის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დამხმარე პერსონალის შეფასება; პერსონალის მართვის პოლიტიკა და ეფექტიანობის წესი; სტუდენტის მიერ სასწავლო კურსისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების ფორმა; კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანკეტა; დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმა; სწავლის შედეგების მონიტორინგი და ანალიზი; გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენება; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ შესავსები ანკეტა - Google Forms;

თავმჯდომარე

მდივანი

ბ) დასკვნაში აღნიშნულია, რომ „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს არ აქვს შემუშავებული დოქტორანტების მიერ ხელმძღვანელის შეფასების სისტემა, აგრეთვე, ხელმძღვანელის შეცვლის სისტემა“.

საბჭომ გამოიკვლია, რომ უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სამსახურს შემუშავებული აქვს „ანონიმური კითხვარი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტებისათვის“, რომელიც მოიცავს კითხვებს: 1. როგორ შეაფასებდით თქვენი სამეცნიერო ხელმძღვანელის მუშაობას; 2. როგორ შეაფასებდით პროგრამის ხელმძღვანელის მუშაობას; ამ კითხვარს სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამების დოქტორანტები ყოველი სემესტრის ბოლოს ავსებენ. ვინაიდან, ბიზნესის სადოქტორო პროგრამა ახალია და ჯერ არ ფუნქციონირებს, ცხადია ამ კითხვარს ვერავინ შეავსებდა. ზემოაღნიშნული სადოქტორო პროგრამების სტუდენტთა გამოკითხვის შემდეგ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სამსახური ამზადებს „სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანგარიშს“.

ამასთან, უნივერსიტეტმა წარმოადგინა, „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება“, რომლის 23-ე მუხლში აღნიშნულია „სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო თემის შეცვლის შესახებ. მასში დეტალურადაა აღწერილი რა შემთხვევაში და როგორ შეუძლია დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო თემის შეცვლა (იხ. დანართი #15, „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება“).

გ) დასკვნაში მითითებულია, რომ „ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო (გამოკითხულებმა ვერ აღნიშნეს) კვლევის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები. ასევე, პროგრამის მონიტორინგის სისტემას არ აქვს გარკვეული review-ები, რაც პროგრამას გამართული ფუნქციონირების საშუალებას მისცემს“.

საბჭო დარწმუნდა, რომ წარმოდგენილი იყო „სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი პროგრამების განვითარების მიზნით და შედეგების გამოყენების 2016-2017 და 2017-2018 სასწავლო წლების ანგარიშები“, რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი გამოკითხვის პროცესი მოქმედ პროგრამებთან დაკავშირებით, მიღებული შედეგების ანალიზი და მათ საფუძველზე პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები. ვინაიდან, სადოქტორო პროგრამა ახალია და მას არც სტუდენტი ჰყავს და არც კურსდამთავრებული, ცხადია პანელი ვერ დაადასტურებდა, რომ მისი განხორციელების პროცესის შეფასება მოახდინეს დაინტერესებულმა მხარეებმა.

დ) დასკვნაში აღნიშნულია, რომ „შემუშავდეს მიმდინარე კონტროლის მექანიზმი, რათა მოხდეს პროგრამის ხარისხის ეფექტურად მართვა თითოეული სტანდარტის შესაბამისად“.

საბჭო დარწმუნდა, რომ ხარისხის ეფექტურად მართვის კონტროლის მექანიზმები უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს და პროგრამის თვითშეფასების ანგარიშთან ერთად აქვს წარდგენილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭო ვერ გაიზიარებს ექსპერტთა მითითებას, მე-5 სტანდარტის მეტწილად შესაბამისობასთან დაკავშირებით. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული სტანდარტი მიეჩნია სრულად შესაბამისად.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია რომ დაწესებულების მიერ ხუთივე სტანდარტი სრულად არის შესაბამისი.

3. სარეზოლუციო ნაწილი

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

თავმჯდომარე

მდივანი

გადაწყვეტა:

1. დაკმაყოფილდეს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 2019 წლის 01 აპრილის №1699 (ცენტრში რეგისტრაციის №381959) და 02 აპრილის №1724 (ცენტრში რეგისტრაციის №389503) სააკრედიტაციო განაცხადები და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2019 წლის 12 სექტემბრის №49 სხდომის ოქმის №2 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს.
5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე

მდივანი

 ქეთევან ქოქრაშვილი

ნინო ლიპარტია



| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|----|--|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹ | ბიზნესის ადმინისტრირება |
| 2 | სტატუსი ² | ახალი |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | „-----“ |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება ³ | „-----“ |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური ⁴ | დოქტორანტურა |
| 6 | კვალიფიკაციის დონე ⁵ | მე-8 |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი Doctor of Business Administration |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ⁶ | „-----“ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი ⁷ | 02 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 180 |
| 13 | განხორციელების ადგილი ⁸ | საქართველო, 0141, ქ. თბილისი, ჩარგლის ქუჩა №73, სასწავლო კორპუსი №1 |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2019 წლის 27 სექტემბერი |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა ⁹ | „-----“ |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 2023 წლის 27 სექტემბერი |

¹ დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

² ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

³ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

⁴ ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

⁵ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

⁶ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁷ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი

⁸ ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

⁹ საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში თავმჯდომარე

მდივანი